



სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის
აღმასრულებელი საბჭოს 2020 წლის 23 სექტემბრის
ს ხ დ ო მ ი ს ო ქ მ ი

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

მისამართი: დისტანციური სხდომა (Webex პლატფორმის გამოყენებით)

სხდომის დაწყების დრო: 18:00

დისტანციურ რეჟიმში სხდომაზე მონაწილე აღმასრულებელი საბჭოს წევრები: დავით ასათიანი (თავმჯდომარე), მამუკა ნოზაძე, მარიამ კუბლაშვილი, გიორგი თევზაძე, გიორგი ტურაზაშვილი, დათუნა მოდებაძე, ნათია კორკოტაძე, ირაკლი ყანდაშვილი.

საკითხი 1. ასოციაციაში გაწევრიანება.

წევრები გაეცნენ სალომე მირზაშვილის, ლელა გიგაურის, ნატო ჩიტიშვილის, ლუკა კოდუას და მარიამ მაისურაძის განცხადებებს ასოციაციაში გაწევრიანების თაობაზე.

(ა) წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ სალომე მირზაშვილს, ლელა გიგაურს, ნატო ჩიტიშვილს, ლუკა კოდუას წარმოდგენილი ჰქონდა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის, 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სრული, ერთწლიანი კურსის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი და გაწევრიანებისთვის საჭირო ყველა დოკუმენტაცია. შესაბამისად, აღნიშნული პირების განცხადებები თანდართული დოკუმენტებითურთ აკმაყოფილებს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებს.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ განცხადებებს და დოკუმენტებს და ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს სალომე მირზაშვილს, ლელა გიგაურს, ნატო ჩიტიშვილის, ლუკა კოდუას მიერ წარმოდგენილი განცხადებები ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანების თაობაზე.

(ბ) წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ მარიამ მაისურაძემ საადვოკატო სტაჟირება დაიწყო 2019 წლის 1-ელ იანვრამდე და მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 2019 წლის 1-ელ იანვრამდე მოქმედი რედაქციის მე-10 მუხლისა და მე-16 მუხლის მოთხოვნებთან. ამასთან, “პროფესიული ადაპტაციის პროგრამის“ დებულების 15.2. მუხლის შესაბამისად, ადაპტაციის პროგრამის გავლის ვალდებულება არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებმაც ადვოკატთა ასოციაციას მიმართეს განცხადებით გაწევრიანების თაობაზე ან „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით განსაზღვრული მოთხოვნის შესაბამისად დაიწყეს საადვოკატო სტაჟირება 2019 წლის 1-ელ იანვრამდე.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ განცხადებას, თანდართულ დოკუმენტებს და აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს მარიამ მაისურაძის განცხადება ასოციაციაში გაწევრიანების თაობაზე.

საკითხი 2. ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანება.

წევრები გაეცნენ ლილი მელანაშვილის, მიხეილ შიოშვილის, ჯიმშერ ტყეშუჩავას, გიორგი მიქელაძის, ირმა ხარჩილავას განცხადებებს ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანებისთვის თაობაზე. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნული პირების მიერ წარმოდგენილ განცხადებებს თან ერთვის ყველა საჭირო დოკუმენტი და შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებთან.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად, დაკმაყოფილდეს ლილი მელანაშვილის, მიხეილ შიოშვილის, ჯიმშერ ტყეშუჩავას, გიორგი მიქელაძის, ირმა ხარჩილავას მიერ წარმოდგენილი განცხადებები ასოციაციაში ხელახლა გაწევრიანების თაობაზე.

საკითხი 3. ადვოკატ ლიზა ონიკაშვილის განცხადების განხილვა.

წევრები გაეცნენ ადვოკატ ლიზა ონიკაშვილის 2020 წლის 16 სექტემბრის განცხადებას 2020 წლის საწევრო გადასახადის გადავადების თაობაზე, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ მას ჰქონდა მძიმე ოჯახური პირობები და ფინანსური პრობლემები, რის გამოც ითხოვდა 2020 წლის საწევრო გადასახადის გადავადებას. განცხადებას თან ერთვის 2020 წლის 25 აგვისტოს გაცემული ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზაში რეგისტრირების შესახებ და განმცხადებლის ოჯახის წევრების გარდაცვალების დამადასტურებელი მოწმობების ასლები.

თავმჯდომარემ წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ აღმასრულებელი საბჭოს 2020 წლის 07 მაისის გადაწყვეტილებით დამტკიცებულ „წევრთა მხარდაჭერის ღონისძიებების გეგმის“ ფარგლებში, 2020 წლის საწევრო გადასახადის 6 თვით გადავადების თაობაზე, 2020 წლის 18 მაისიდან - 2020 წლის 31 მაისის ჩათვლით ასოციაციას მომართა ჯამში 266-მა წევრმა, რომელთა განცხადებებიც დაკმაყოფილდა 2020 წლის 11 ივნისის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით. გარდა ამისა, მიმდინარე წლის ივნისიდან 8 სექტემბრის ჩათვლით, დაგვიანებით მომართვის მიუხედავად, დამატებით კიდევ 310 წევრს დაუკმაყოფილდა განცხადება, აღნიშნული გეგმის ფარგლებში დადგენილი ვადით (2020 წლის 1-ელ დეკემბრამდე) 2020 წლის საწევრო გადასახადის გადავადების თაობაზე.

თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მას მიზანშეწონილად მიაჩნია, გათვალისწინებულ იქნას ლიზა ონიკაშვილის განცხადებაში მითითებული გარემოება და გადაუვადდეს 2020 წლის საწევრო გადასახადის გადახდა მიმდინარე წლის 1-ელ დეკემბრამდე.

წევრებმა მოისმინეს ინფორმაცია და მათი მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შემდეგ, ღიაკენჭისყრის შედეგად ერთხმად იქნა მიღებული შემდეგი გადაწყვეტილება:

- დაკმაყოფილდეს ლიზა ონიკაშვილის განცხადება 2020 წლის საწევრო გადასახადის გადავადების თაობაზე და აღმასრულებელი საბჭოს 2020 წლის 07 მაისის გადაწყვეტილებით დამტკიცებული „წევრთა მხარდაჭერის ღონისძიებების გეგმის“ ფარგლებში დადგენილი ვადით - მიმდინარე წლის 1-ელ დეკემბრამდე, მას გადაუვადდეს 2020 წლის საწევრო გადასახადის გადახდის ვადა;
- განმცხადებელს ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

საკითხი 4. ადვოკატ მანანა ლობჯანიძის განცხადების განხილვა.

წევრები გაეცნენ ადვოკატ მანანა ლობჯანიძის განცხადებას 2020 წლის 18 სექტემბრის განცხადებას, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ იგი იყო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი (წარმოდგენილი იყო შესაბამისი დოკუმენტის ასლი), ცხოვრობდა რეგიონში, ქალაქ ხაშურში და ამჟამად, ჯანმრთელობის პრობლემების გამო ვერ ახორციელებდა საადვოკატო საქმიანობას. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, იგი ითხოვდა 2020 წლის საწევრო გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლებას.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებელი, როგორც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, სარგებლობს აღმასრულებელი საბჭოს მიერ 2019 წლის 31 იანვარს მიღებული გადაწყვეტილებით დადგენილი 75%-იანი საშელავათო საწევროთი. შესაბამისად, მის მიერ გადასახდელი 2020 წლის საწევრო გადასახადის ოდენობა შეადგენს 50 (ორმოცდაათი) ლარს.

წევრებმა განაცხადეს, რომ სამართლებრივი საფუძველის არარსებობის გამო, აღმასრულებელი საბჭო მოკლებულია შესაძლებლობას, იმსჯელოს მანანა ლობჯანიძის განცხადებაში მითითებული მოთხოვნის - საწევრო გადახდისაგან სრულად გათავისუფლების დაკმაყოფილების თაობაზე. თუმცა, შესაძლებელია, იმ წევრების მსგავსად, რომელთაც აღმასრულებელი საბჭოს 2020 წლის 07 მაისის გადაწყვეტილებით დამტკიცებულ „წევრთა მხარდაჭერის ღონისძიებების გეგმის“ ფარგლებში 2020 წლის 1-ელ დეკემბრამდე გადაუვადდათ 2020 წლის საწევრო დავალიანების გადახდის ვადა, განმცხადებლის სურვილის შემთხვევაში, მასაც გადაუვადდეს 2020 წლის საწევრო გადასახადის გადახდის ვადა 2020 წლის 1-ელ დეკემბრამდე.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

- არ დაკმაყოფილდეს მანანა ლობჯანიძის განცხადება 2020 წლის საწევრო გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლების თაობაზე;
- აღმასრულებელი საბჭოს 2020 წლის 7 მაისის გადაწყვეტილებით დამტკიცებულ „წევრთა მხარდაჭერის ღონისძიებების გეგმის“ ფარგლებში, მას განემარტოს 2020 წლის საწევრო გადასახადის გადახდის ვალდებულების 2020 წლის პირველ დეკემბრამდე გადავადების თაობაზე;
- განმცხადებელს ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

საკითხი 5. ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატების დამტკიცება.

წევრები გაეცნენ ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატების კანდიდატურების (ემზარ პაქსაძე, თეონა გუგუშვილი, მამუკა მახარაძე, თამუნა ხაჩირაშვილი, მარიამ ვაშაკიძე, თორნიკე ამილახვარი, გოჩა გოგიშვილი) აპლიკაციებს თანდართული ბიოგრაფიით.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებლები აკმაყოფილებენ პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების 10.1 და 10.2 პუნქტებით დადგენილ მოთხოვნებს.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატებად ემზარ პაქსაძის, თეონა გუგუშვილის, მამუკა მახარაძის, თამუნა ხაჩირაშვილის, მარიამ ვაშაკიძის, თორნიკე ამილახვარის, გოჩა გოგიშვილის კანდიდატურები.

საკითხი 6. პროფესიული ადაპტაციის პროგრამის თეორიული კურსის ტრენერების დამტკიცება.

წევრები გაეცნენ პროფესიული ადაპტაციის პროგრამის თეორიული კურსის ტრენერების კანდიდატურებს: დავით ასათიანი, ლაშა ნოდია და ალექსანდრე წულაძე.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების მე-7 მუხლის, 7.1 პუნქტის თანახმად, დამტკიცდეს პროფესიული ადაპტაციის პროგრამის თეორიული კურსის ტრენერთა შემადგენლობა სხდომაზე წარმოდგენილი სახით.

საკითხი 7. ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამაზე რეგისტრირებულ განმცხადებელთა სიის დამტკიცება.

წევრებმა მოისმინეს ინფორმაცია, რომ 2020 წლის 31 აგვისტოდან - 11 სექტემბრის მდგომარეობით პროფესიული ადაპტაციის პროგრამაზე დარეგისტრირდა 248 პირი.

პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების მე-5 მუხლის, 5.7 პუნქტის თანახმად, განმცხადებელთა სიას, რომელიც შესაბამისობაშია ფორმალურ

მოთხოვნებთან, ამტკიცებს აღმასრულებელ საბჭო და სიაში შეტანილ პირს ენიჭება ადაპტაციის პროგრამის მონაწილის სტატუსი.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს პროფესიული ადაპტაციის პროგრამაზე რეგისტრირებულ განმცხადებელთა სია სხდომაზე წარმოდგენილი სახით და განმცხადებლებს მიენიჭოთ ადაპტაციის პროგრამის მონაწილის სტატუსი (დანართი 1).

საკითხი 8. საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის მმართველთა საბჭოს თავმჯდომარის, უჩა უჩანეიშვილის მომართვის გაცნობა.

წევრები გაეცნენ საქართველოს სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის მმართველთა საბჭოს თავმჯდომარის, უჩა უჩანეიშვილის 2020 წლის 16 სექტემბრის მომართვას თანდართული დოკუმენტებით, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ ორგანიზაცია ყოველწლიურად ახორციელებდა მისი იურისტების (ამავდროულად ასოციაციის წევრების), მათ შორის ზურაბ ეზუგბაიას საწევრო გადასახადის გადახდას, ადვოკატთა ასოციაციის საბანკო ანგარიშზე. მომართვაში მითითებულა, რომ ზურაბ ეზუგბაიას ჰყავს სამი მცირეწლოვანი შვილი, რომელთაგან უმცროსის დაბადების თარიღია 2015 წლის 14 იანვარი. შესაბამისად აღნიშნულ პირზე, როგორც მრავალშვილიანი მშობლის სტატუსის მქონე ასოციაციის წევრზე, 2015 წლიდან უნდა გავრცელებულიყო აღმასრულებელი საბჭოს მიერ საწევრო გადასახადზე დადგენილი 50%-იანი შეღავათი. აღნიშნულიდან გამომდინარე განმცხადებელი ითხოვს ზურაბ ეზუგბაიას ნაწილში ზედმეტად გადახდილი საწევროს თანხის დაბრუნებას სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის ანგარიშზე.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ ზურაბ ეზუგბაია 2006 წლიდან არის ასოციაციის წევრი და მას აქამდე არ წარმოუდგენია შესაბამისი დოკუმენტები, რის საფუძველზეც მასზე გავრცელდებოდა საწევრო გადასახადზე დადგენილი შეღავათი. შესაბამისად, ასოციაციის ფინანსური დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ზურაბ ეზუგბაიას მიერ ყოველწლიურად გადასახდელი საწევროს თანხის ოდენობა შეადგენს 200 (ორასი) ლარს.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ დოკუმენტებს და განაცხადეს, რომ საქართველოს სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის მმართველთა საბჭოს თავმჯდომარის მომართვა 2014-2020 წლებში ზურაბ ეზუგბაიასთვის ზედმეტად გადახდილი საწევროს თანხის დაბრუნების ნაწილში არ ექვემდებარება დაკმაყოფილებას, რადგან

როგორც წერილის ავტორი მიუთითებს და წარმოდგენილი დოკუმენტებითაც დასტურდება, ზურაბ ეზუგბაიას მრავალშვილიანი მშობლის სტატუსი აქვს 2015 წლიდან, ხოლო მრავალშვილიანი მშობლის სტატუსის მქონე წევრებზე 50%-იანი შეღავათის დაწესების თაობაზე გადაწყვეტილება აღმასრულებელმა საბჭომ მიიღო 2019 წლის 31 იანვარს. აღნიშნული გადაწყვეტილებით, ასევე რეგლამენტირებულია საწევრო შეღავათით სარგებლობის წესიც. კერძოდ, შეღავათის გასავრცელებლად კონკრეტული კრიტერიუმების არსებობის გარდა, საჭიროა საწევრო შეღავათით სარგებლობის თაობაზე ადვოკატის ნების გამოხატვა (განცხადებით მომართვა) და მშობლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობისა და შვილების დაბადების მოწმობის ასლების ასოციაციამში წარმოდგენა, რასაც აღნიშნულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია.

აქედან გამომდინარე, 2019 წელს მრავალშვილიანი მშობლის სტატუსის მქონე წევრზე დადგენილი 50%-იანი საწევრო შეღავათი ვერ გავრცელდება 2015-2019 წლებში გადახდილ საწევრო გადასახადზე. ამასთან, წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე, ზურაბ ეზუგბაია აღნიშნული შეღავათით სარგებლობას შეძლებს 2020 წლიდან, მომდევნო წლების საწევრო გადასახადზე.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

- არ დაკმაყოფილდეს საქართველოს სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის მმართველთა საბჭოს თავმჯდომარის, უჩა უჩანეიშვილის 2020 წლის 16 სექტემბრის მომართვა, ზურაბ ეზუგბაიას ნაწილში, საწევროს თანხის სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის ანგარიშზე დაბრუნების თაობაზე;
- განმცხადებელს ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე.

აღმასრულებელი საბჭოს სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

წინამდებარე აქტი გამოქვეყნდეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მისამართი: www.gba.ge.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N6).

დავით ასათიანი

თავმჯდომარე